საქართ. მემარცხენე სოც.-დემოკრატიული პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი, დეკემბრის 2 1921 წ.

ღრმად დამწუხრებული შვილები: მიტროფანე, მალაქია, ანდრო ბარკალაიები, აგრაფინა მამალაძისა, ანეტა დათაშვილისა, ანნა ბარკალაიასი და ნადეჟდა ბურიოტისა, დაი ირმუხთი დვამიჩავასი, რძლები: მაკრინე ჩუგუშვილისა, ფეოკტისტა, ბებუცა ბ მარია ბარკალაიები, სიძეები: დიომიდე მამალაძე, ვასილი ბარკალაია და ბიკტორ ბურიოტი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას

ელისაბედ სიმონის ასული ბარკალაიასას

ცხედარი იქნება გამოსვენებული ტფილისის სადგურზე პარასკევს, დეკემბრის 2-ს, სადამოს 5 საათზე, საიდანაც გასვენებული იქნება ქ. ფოთში მატარებელ № 3-ით, დაკრძალვა დანიშნულია შაბათს, დეკემბრის 3-ს, სადამოს 4 საათზე ფოთის ადგილობრივ სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე სადამოს 5 საათზე ტფილისში ბათომის ქუჩაზე, სახლი № 24 (დიდუბე) 123

ღრმად დამწუხრებული დედა მარიამ, ცოლი ფატიხა, და ელენე რძალი სოფიკო ძმები: ალექსანდრე, ლევან, ვასო, ძმისწული მიშა და სიძე მიშა ქიაურელი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი

კოტე ციმაკურიძე

პანაშვიდი ყოველ დღე სად. 5 საათზე ფასანაურის ქუჩა № 9 დაკრძალვა კვირას, დეკემბრის 4-ს ვერის სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხარებულნი დედა ოლღა, მამა ლუკა და და ნინა, ბებია კეკა აუწყებენ ნათესავებთ და ნაცნობთ გარდაცვალებას თავის პატარა

კოლა ხელაშვილისას

დაკრძალვის დღე ცალე იქნება გამოცხადებული. პანაშვიდი ყოველ დღე სადამოს 5 საათზე ანტონოვის ქუჩ. № 2. 117

ღრმად დამწუხრებული ბიძა ლადო, დეიდა ნინა თვისი შვილებით: აბრამი, მარიამი, ვახტანგი და შოთა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პატარა

კოლა ხელაშვილის

პანაშვიდი ყოველ დღე სადამოს 5 ს. ანტონოვის ქუჩ. № 2. 118

ღრმად დამწუხარებულნი ბიძა დავითი და ძალიან მარიამი და შვილი კატუშა ხელაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პატარა

კოლა ხელაშვილისას

პანაშვიდი ყოველ დღე სადამოს 5 ს. ანტონოვის ქუჩ. № 2. 119

შაბათს, დეკემბრის 3-ს

გამოვა რუსული ყოველ-კვირეული ლიტერატურული გაზეთი

ფიგარო

რედაქტორი: ნიკოლოზ მიწიშვილი.

ფასი 3000 მ.

რედაქცია: რუსთველის პრ. № 24. ტელ. 7—99.

საბჭოთა არჩევნებისათვის.

ჩვენი ცხოვრების მსვლელობა ჯერ კიდევ არ ჩამდგარა გარკვეულ კალაპოტში. საბელმწიფო აპარატის სახეობა, მისი მოწყობილება და მთელი მმართველობა გარდამავალი და დროული რევოლიუციონური კომიტეტის ხელში არის მოქცეული. პირველის შეხედვით ეს არა ნორმალური მდგომარეობაა. მაგრამ რევოლიუციონური მოძრაობა და დიდი სოციალური აქტების ცხოვრებაში გატარება, ყოველთვის არღვევს ცხოვრების ნორმალურს მსვლელობას და აჩქარებს მის წარმატებას. ამ მხრივ მთელი საერთაშორისო ცხოვრება არა ნორმალურს მდგომარეობას განიცდის და დიდი მშობიარობის ტკივილებით არის დაავადმყოფებული; ის ახალს შესაძლებლობის, ახალ მოვლენებისა და მომენტების წინაშე სდგას. ძველი ცხოვრება ამოვარდა თავის ძველს, მშვიდობიან ბედიდან და მისი დაწყნარება, ნორმალურს კალაპოტში ჩაყენება, არ-ცა ისე ადვილი საქმე არის. ეს არის რევოლიუციონური გარდატეხის ხანა, არა ძველი სოციალ-პოლიტიკური წყობილება, აგებული უსამართლობის და ექსპლოატაციის საფუძველზე, ერთი კლასისაგან მეორე კლასის ყველფაზე, იმსხვრევა და ადგილს უთმობს ახალ სამართლიან სოციალურ ურთიერთობას, ასეთი დიადი და ღრმა შინაარსის აქტები ყოველთვის ჰქმნის არა ნორმალურს მდგომარეობას, გამწვავებულს პირობებს.

ასეთი პირობები ხასიათდება დიდი ეკონომიური კრიზისებით, საერთაშორისო კონფლიქტებით, გამწვავებული პოლიტიკური წინააღმდეგობებით. ეს ხდება საერთაშორისო მაშტაბში; მთელი მსოფლიო განიცდის ამ დიდ კრიზისებს, ასეთ დიდ მოვლენებს.

მთელი თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრება განიცდის დღეს დიდ ეკონომიურს კრიზისებსა და კონფლიქტებს. მსოფლიო არანორმალურ მდგომარეობაში არის, ძალთა შეჯახებისა და დაპირისპირების პროცესი მთელი თავისი სიძლიერით ვითარდება.

ცხადია, ასეთს საერთაშორისო პირობებში ჩვენ ვერ შევქმნით საქართველოში ნორმალურს პირობებს, ვერ აღვადგენთ დამშვიდებულ ცხოვრების მიმდინარეობას. ეს შესაძლებელია მხოლოდ მას მემდეგ, როცა მთელი მსოფლიო ჩადგება გარკვეულს ნორმალურს პირობებში. მთელი ჩვენი ცხოვრება საერთაშორისო ცხოვრების ვითარებაზედ არის დამოკიდებული და ის ბისცემს საერთო ტონსა და შინარს ჩვენს მომავალს. საკითხი ასე სდგას და ამის წინააღმდეგ შეუძლებელია დავა და გაგაზის ატეხა.

მაგრამ არა ნორმალურს პირობებსაც თავისი საზღვარი და ფარგლები აქვს. ანარქიისა და უწესრიგობის შექმნა გამოწვეულია საერთო პირობებით. რევოლიუციონური მოძრაობა და დიდი სოციალური აქტები კი დაჟინებით მოითხოვს რევოლიუციონური წესრიგის შექმნას, ერთგვარ ნორმალურს გარეშოების განმტკიცებას. თანამედროვე გარდამავალი პერიოდი, რომელსაც ახასიათებს ძველი კაპიტალისტური მეურნეობის დარღვევა ბ ახალი სამართლიანი ურთიერთობის თან და თანობითი შექმნა, შეუძლებელია ანარქიულს, უწესრიგო ფორმებში დადებითად დამთავრდეს. რევოლიუციონური წესრიგი. დღევანდელს პირობებში აუცილებელი საჭიროა. ამას მოითხოვს სოციალ პოლიტიკური მდგომარეობა სოციალურ მოძრაობის ინტერესები. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ წესრიგზე, სწორედ ეს გვაქს მხედველობაში. რევოლიუციის პროცესში უნდა შეიქმნეს საკონსტიტუციო პირობები რევოლიუციონური შემოქმედების ნორმალურს, გარკვეულ კალაპოტში ჩამოყალიბებისათვის.

ასეთ პირობებს იძლევა რევოლიუციონური კონსტიტუცია, მუშურ-გლეხური რესპუბლიკის გარკვეულს უფლებრივს ფორმებში ჩამოსხმა.

მთელი ჩვენი ენერგია და სამოქმედო გეგმები მშრომელთა რესპუბლიკის უფლებრივ ფორმების შექმნისაკენ უნდა იყოს მიმართული. ჩვენ, რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა შეუდგეთ ამ ჩვენთვის საინტერესო და საჭირბოროტო საქმის განხორციელებას. ჩვენი პირობები და მდგომარეობა არ ითმენს დიდი ხნობის ლოდინს. დღესვე მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის, ეს აუცილებელი მოთხოვნილებაა ჩვენი ცხოვრების. ამ ქამად დანიშნულია ტფილისის ქალაქის საბჭოთა არჩევნები; ეს. რასაკვირველია, დასაწყისია და პირველი რგოლია იმ არჩევნებისათვის, რომელმაც უნდა მოგვცეს მშრომელი საქართველოს კონსტიტუცია, მისი სახელმწიფოებრივი სახეობა.

ტფილისის საბჭოთა არჩევნების შესახებ ჩვენს გაზეთში გარკვევით იყო გამოთქმული ჩვენი შეხედულება.

მგონამ ჩვენს მოქმედებას ამ საკითხში ვერ შეძოვფარგლავთ მარტო ტფილისით და დღესვე უნდა გადავიდეთ მთელი საქართველოს საბჭოთა არჩევნების მზადებისათვის.

საქართველოს საბჭოებმა უნდა მოგვცეს ჩვენ მშრომელი ხალხის ნამდვილი დიქტატურა. მისი სრული ბატონობა. ჩვენი ლოზუნგია: მთელი ძალა-უფლება საბჭოებს, საქართველოს მთელი მშრომელს ხალხს, არა რომელიმე პოლიტიკურს ჯგუფს საბჭოების ხორმალურს პირობებში ჩაყენება და ნამდვილი მშრომელთა დიქტატურის გამტკიცება, საშუალებას მოგვცემს ყოველი ჩვენი ცხოვრების საეროთაშორისო საკითხები წესიერის გზით გადავსწყვიტოთ და ყოველ ამ გადაწყვეტილებას ავტორიტეტული ხასიათი მივსცეთ.

ს. დევიანი.

ქურნალ-გაზეთებიდან

(დეილი ჰეროლდი, 11 ოქტომბერი 1921 წელი).

ორი კონფერენცია განიარაღების შესახებ. ძომავალს თვეში შეიკრიბება არა ერთი, არამედ ორი კონფერენცია განიარაღების შესახებ. ვაშინგტონის კონფერენციის შეკრების დროსვე შესდგება დიდი ევროპიული ყრილობა მუშათა ტრედ-უნიონთა, როგორც მაგალ. ტრანსპორტისა, რკინის გზისა, მადაროების, მეტალურგიული წარმოებებისა ე. ი. შეიკრიბება წარმომადგენელნი იმ ხალხის, რომელთა მუშაობა აუცილებელია ომისათვის.

მთავარი მდივანი ტრანსპორტის მუშათა რობერტ უილიამსი, იტყობინება ამის შესახებ დილი ჰეროლდში.

ჩვენი დიპლომატიური კორესპონდენტი ქვემორე სტატიაში არკვევს თუ, რა მიზეზების გამო არ შეუძლია ვაშინგტონს აიცდინოს მოსალოდნელი წყნარ-ოკეანეს ომი.

წყნარ ოკეანეს ომი აუცილებელია. საერთაშორისო მუშათა პარტიას საკუთრებით ესმის დიდი მნიშვნელობა განიარაღების კონფერენციისა, რომელიც შესდგება ვაშინგტონში მომავალს თვეში—უთხრა რობერტ-უილიამსმა დეილ ჰეროლდის წარმომადგენელს გუშინ.

ინტერნაციონალური ფედერაციამ ტრედ-იუნიონებისამ, გადასწყვიტა მოიწვიოს ერთდროულად კონფერენცია ყველა შემოერთებული ტრანსპორტის მუშა უნიონებისა, აგრედვე სპორტის, რკინის გზების, მადაროების და მეტალურგიული წარმოებებისა.

ყველა ამ ორგანიზაციებმა გამოიტანეს ენერგიული რეზოლიუციები ომის წინააღმდეგ. ეს იქნება საერთაშორისო ოთხთა კავშირი, მოწვეული ევროპაში ტრედიუნიონისტური მოძრაობის აღმასრულებელი ორგანოებისაგან, რათა იმუშაოს ერთდროულად ვაშინგტონის კონფერენციასთან. ევროპის მუშები სულ მეტად და მეტად რწმუნდებიან იმაში, რომ ვაშინგტონის მოლაპარაკება არ იქნება უფრო შედეგებიანი, ვიდრე იყო პაგის პასიფისტური კონფერენცია, რომელიც მეფის ინიციატივით იყო მოწვეული.

გამოიცემა მოწოდება შეერთებულ შტატებისა და ევროპისადმი, გამოცხადონ ომი კაპიტალისტების წინააღმდეგ, რომელიც არის ერთნდ ერთი ნამდვილი საშუალება. როცა სახელმწიფო მოდვაწენი და პოლიტიკოსები სამხედრო სამზადისისათვის კრედიტებს ხმას მისცემენ, მათ დასჭრდებათ ანგარიში გაუწიონ კითხვებს—დაამზადებენ და გადაიტანენ მუშები ყოველივე ამას თუ არა.

მეტალისტებს და ნახშირის მემადაროელებს ესმით, რომ არ აქვს აზრი ტრანსპორტის მუშებმა გაუწიონ წინააღმდეგობა ამ საომარ სამზადისს, თუ კი ისინი დაამზადებენ საგნებს, რომელიც იძლევა ომის წარმოების საშუალებას.

მიტომ ეს კონფერენცია გახდება კონფერენციად, რომელიც შეაერთებს ევროპის ყველა მუშებს.

მოლაპარაკებანი ამერიკაში უნაყოფოდ რჩება. ეკონომიური ძალები გმზადდებიან ომისათვის. ჩვენი დიპლომატიური კორესპონდენტისაგან. საკითხი, წყნარ-ოკეანეს ომის შესაძლებლობაზე, რომელიც ასე ალელვებს ჩვენს თანამეგზეგროვეებს და რომელის გასარკვევადაც შეიკრიბებიან მომავალს თვეში ვაშინგტონში, ირჩევდა „დეილი ჰეროლდში“ წარსულ წელში.

ჩვენი წინასწარმეტყველება აქამდის მართლდება, კაპიტალისტურს იმპერიალიზმს თავის ბუნებით აუცილებლად მივყევართ ახალს ომისაკენ წყნარ ოკეანეს კაპიტალისა და ახლო აღმოსავლეთისათვის.

ასევე ცხადია და სწორი, რომ ეს ომი მზადდება, როგორც ცხადი იყო, რომ ემზადებოდა ევროპის ომი 1904—1914 წლებამდის „ამ ათი წლის საიდუმლო დიპლომატიის არსებობის დროს“.

ყველა დიპლომატიის საიდუმლოებამ გამოიწვიეს ომი. ის გამოიწვია კონკურენციამ ეკონომიური ბატონობისათვის აფრიკის ბაზრებზე და ახლო აღმოსავლეთში.

პარალელი 1914 წლის წინა წლებთან. ყველა ხელშეკრულებანი დიპლომატებისა, ყველა შეჯიბრებანი შეიარაღებაში, ყველა კრიზისები ბოსნიასა და ხანკირში, ყველა კონფერენციები ალგეზირასი, მეფეთა ტურნეები და მისიები ბალკანეთში, ყველა ეს ახლოდ გარეშე მბარეა ამ ეკონომიურ ძალთა, რომელნიც ზეუბრალებლად მიისწრაფოდნენ ომისაკენ. არაფერს, გარდა კაპიტალიზმის დამხობისას, არ შეეძლო აეცდინა ეს ომი. ეი რატომ ლიბერალიზმი, მიუხედავად თავის პასიფისტური მებრძოლებისა, ვერაფერი ვერ გააწყო. ასევე მხოლოდ პასიფიზმი ვერ აგვაცილებს ალმოსავლეთის ომს; არც პასიფიზმი, არც სანტიმენტალური ლიბერალიზმი არ დაგვიხსნის მისგან, ვერ აგვაცდენს მას ვაშინგტონი. კონფერენციაც.

ის იმაჯელებს შეიარაღების შეზღუდვის საკითხზე. და ის ვერაფერს ვერ გახდება თუ გინდ ის ამ შემთხვევაში კეთილ-სასიამოვნო დასკვნამდის მივიდეს, შეიარაღების შეზღუდვა ვერ აგვაცდენს ომს. ის იმაჯელებს შანტუნის საკითხებზე, ჩინეთის დაყოფაზე და ის ვერ მივა დასკვნებამდის და შეთანხმებებამდის ყველა ამ საკითხებში. ამავე სახით 1903 და 1914 წლებს შორის, ევროპის სახელმწიფოებმა გადასჭრეს ბალკანეთის საკითხი და საკითხები ტრიპოლიისა და მაროკოსი.

ამის და მიუხედავად დატრიალდა ომი. ამრიგად მიუხედავად ყველა კონფერენციებისა და დროებითი შეთანხმებებისა, წყნარი ოკეანეზე დატრიალდება ომი, და ჩვენ მივიღებთ ძონაწილეობას ისე გარდაუვალად, როგორც მონაწილეობას ვღებულობდით ევროპის ომში.

„თუ კი, როგორც მე ვწერდი „დეილი ჰეროლდში“ 1920 წელში, ნამდვილი კონტროლი პოლიტიკაში, არ იქნება გამოგლეჯილი ხელიდან ომში დაინტერესებულ პირთაგან, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ძლიერ დაემგვანება რევოლიუციას. რასაკვირველია—შესაძლებელია ეს იქნეს მშვიდობიანი რევოლიუცია; ყოველ შემთხვევაში უეჭველად ახლო 10 წელიწადში მოსალოდნელია ომი შეუდარებლივ საშიშარი უკანასკნელზე. დეე, პირებმა, რომელთაც არ მოსწონთ რევოლიუციაზე ფიქრი, ემზადონ ინგლის-ამერიკული ომის მზიარულად მისაღებლად“.

და მე დაუმატებ—ნუ იბრუებენ თავს სასიამოვნო ოცნებებით, რომ თითქოს ვაშინგტონის კონფერენციის შემდეგ მიაღწევენ სამუდამო ზავს.

ბ-ნი ლოიდ ჯორჯი რჩება იმ აზრზე, რომ მას არ შეუძლია დაესწროს. ლონდონში ჯერ არ განუხილავთ საკითხები, რომელნიც ეხებიან სამშვიდობო კონფერენციას და ბრიტანეთის დელეგატები ჯერ დანიშნულნი არ არიან.

ბ-ნ ლ ო დ ჯორჯს ჯერ არ უდასტურებია თავის შეხედულებისათვის იმის შესახებ, რომ არ ლირს იქ იმის დასწრება.

ირლანდიის კონფერენციის მსვლელობა, ალბად იმოქმედებს გადაჭრით მის საბოლოო გარდაწყვეტილების მიღებაზე.

ნამდვილი გზა მშვიდობიანობისაკენ. უილფრედ უელოკმა, მიჰმართა რა მოგვალრიცხოვანს და ადფრთოვანებულს ომის მოწინააღმდეგეთა კრებას ხოლოუეში, ადნიშნა საშიშროება ნამდვილი მილიტარული მისწრაფებების დიდი საბელმწიფოებისა, გააფრთხილა მსმენელები ვაშინგტონის კონფერენციის საწინააღმდეგოთ და მიუთითა იმას, რომ ერთად ერთი გზა მშვიდობიანობისაკენ არის შეცვლა სოციალური წყობილებისა.

ახალი ამბები

— **განათლების კომისარიატში.** საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის ამა 1921 წლის, ნოემბრის 22-ს დადგენილების თანახმად, განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგია დამტკიცებულია შემდეგი შემადგენლობით: განათლების სახალხო კომისარი—ამხ. კანდელაკი, სახალხო განათლების კომისარის მოადგილე—ამხ. მარიამ ორახელაშვილი, კოლეგიის წევრები—ამხ. თაქთაქოვი და ბრიხნიჩევი.

— **სტუდენტთა აგრონომიული წრე.** სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სტუდენტთა აგრონომიული წრე 4 ამა დეკემბერს, დილის 11 საათზე ხსნის მასთან დაარსებულ სასოფლო სამეურნეო მუზეუმს და წიგნთ საცავს. დღიური წესრიგი: 1. სტუდენტთა მოხსენებები: ა) „ჩვენი წრე და მისი მიზნები“, ბ) „მასალები მუხრანის რაიონის სარეველ მცენარეთა შესასწავლათ“. 2. მუზეუმის დათვალიერება, რომლის დროსაც წარმოდგენილ მასალებზე ახსნა განმარტებას თვით სტუდენტები მისცემენ. დასწრება ყველასათვის თავისუფალია (ქუჩაში იმყოფება სახელმწიფო უნიკერსიტეტის ოთახში № 15).

— **ბათუმის ნავთსადგურში.** ნოემბრის 18 ს ძოვდ და გეში „კონსტანტინოპოლი“ ლლოიდ-ტრიესტინის საზოგადოებისა. კონსტანტინოპოლში წაიყვანა ადი გემი: „კონსტანტინეპოლი“, „ელეო“ და „მარია-სინა“ 16,600 ფ. ტვირთით და 260 მგზავრით. ნოემ. 21. ძოვიდა გემი „ტრიესტი“. ძოვიდა აგრეთვე 2 ინალჭინი ხავი 5,500 ფ. ძოთალით დატვირთული.

— **ქუთაისის მომრაგების ქმეგანყოფილებაში.** ქვეგანყოფილება მუშაობს საქ. საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადების დღიდან. დაკომპლექტებულია (ძველის მაშტაბით) უფრო გაჭიანებული მუშები. ძიღებულია ფასთლებულობა და ფეხსაცმელები, რომელიც გასაწყობებულია უკვე. 2000 კაცზე მეტი დაკმაყოფილებულია ზოგი ფეხსაცმელით და ზოგი ტანსაცმელით. ქვეგანყოფილების ინიციატივით არჩეულია კომისია შეშის დასამზადებლად. კომი-

ხიის ენერგიული მუშაობით დაკმაყოფილებულია შეშით 7,000 მუშა. მიღებულია ზომები მუშების მუშათა კოოპერატივში ჩასარიცხად.

— **ახალციხის პროფბიუროში.** ახალციხის მაზრის პროფესიონალურ კავშირის ბიუროს დადგინა: გამოეცხოს საბჭოთა მოსამსახურეებს ჯამაგირის ერთი მესამედი და ყოველგვარი უღუფა 4 ჯერ თვეში დამშეულთა სასარგებლოთ.

— **თეატრი და ხელოვნება.** კვირას, 4-ს დეკემბერს, გაიმართება, დიდი საზეიმო საღამო სახელმწიფო დრამის თეატრის რუსთაველის თეატრად წოდების გამო. თეატრში გახსნილი იქნება შოთა რუსთაველის ძეგლი. საზეიმო საღამო გაიხსნება გრ. რობაქიძის სიტყვით: „შოთა რუსთაველი“. წარმოდგენილი იქნება კ. მესხის „რუსთაველის“ მეორე სურათი საზეიმოდ გადაკეთებული და შალვა დადიანის „როს ნადიმობდენ“. წარმოდგენაში მონაწილეობს მთელი დასი, თანაშრომელი ხორო და ორკესტრი. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

რუსეთი

რამდენია გაცემული იჯარით. პირველ ნოემბრისათვის, წინადაწინ ანგარიშით, რუსეთის ყველა რაიონებში გაცემულია იჯარით 4,200 დაწ. მეტი. პირველი ადგილი უჭირავს წისქვილებს—2,500 რიცხვით. შემდეგ—ქიმიურ წარმოებას, სადაც მუშავდება ტყავეულობა, ლითონები და სხ. ბოლოს ლიტოური უმრავლესობა გაცემულ დაწესებულებებისა არის წვრილი ტიპის. მოიჯარადრეებად, უმეტეს შემთხვევაში კერძო პირებია, ოგრეთვე ყოფილი მეპატრონენიც, შემდეგ კოოპერატივები, დაბოლოს—სახელმწიფო დაწესებულებები. (ეკონომია).

ვაჭრობა უცხოეთთან. ნოემ. პირველ რიცხვებში, პეტროგრადის ნავთსადგურში მოვიდა 5 უცხოელი გემი ნახშირით, ხორცეულით და სხვა და სხვა სურსათით დატვირთული. 6—10 ნოემ. მოვიდა კიდევ 6 გემი, რომელმაც მოიტანა ხორცეული, ფეხსაცმელები, შაქარი და სხვა სურსათი. ოქტომბრის დასაწყისში აცნობებდნენ ტელეფონ-ტელეგრაფით მთავრობას უცხოეთში შენაკვეთებს, რომელიც აღუმატება ნახ. მილიონ მანეთს ოქროთი.

კოოპერაცია და ხაჯარეთ ვაჭრობა. ცენტროკავშირმა ესტონეთის მსხვილ ფირმებთან შეკრა პირობა 50 000 ფ. შაქრის, 2.000 ფ. ყავისა და 20 ვაგონი ფეხსაცმელი შაქრის რუსეთში გადმოტანის შესახებ, დირებულება უდრის—13 მილიარდ მანეთს. პირველი ბარეები უკვე მოვიდა პეტროგრადში,

(„ბედ.“).

უცხოეთი

ვაშინგტონის კონფერენციის გარშემო.

მოსკოვი. 30 ნოემ. ძოელიან გეოგრაფიისა და რუსეთის მიწვევას ვაშინგტონის კონფერენციაზე ეს ლებულობს ახლ მნიშვნელობას როგორც ამერიკის პასუხი საფრანგეთის მ. ერ ბითრებულ რუსეთ-გერმანიის საშინაოებაზე.

მოსკოვი 30 ნოემ. კონფერენციაზე წარმოუდგენებულია ახალი საკითხი ევროპის ვალებზე. შეთანხმება ვალების შესახებ, გახდილული იქნება ცალკე. გადიდგი გაბოთქმა სუფილა მოკავშირეების ვალეთა 50 პროც. შემცირების შესახებ, თუ მოინახება სასურველი გამოსავალი გზა კონფერენციაზე, ე. ი. დამორჩილებიან ამერიკის დებულება. შექმნილ მდგომარეობის მიხედვით. შეუძლებელია კონფერენციაზე ლაპარაკი ვალების მოსპობის შესახებ.

პატარა ფელეტონი

(სცენა ოზურგეთის გიმნაზიის განყოფილებაში)

მოქალაქე (მასწავლებელს): რა აქ, ამხანაგო კაცე, ჩემ შვილა პავედენიაში, რომ გაიგიგდაენ კლასიდან?

მასწავლ. ახლანდელ დროში, ჩემო ბატონ, „პავედენია“ არავის უვარგა; შენ შვილს ოთხი აქ. მაგას კიდევ არ მივაჩაცევდი ყურადღებას, მარა ისედაც არ ვარგა, სოფლეთით ვერ სწავლობს, ორი წელიწადი ამსმე კლასშია და ორ ანბანს ერთი მეორეზე ვერ გადაბაბაბს, ლინჯე იქნება გაიიდგეს ხარაზად, ან მტვერდენად. აქ ვ. ოფენ. გაკეთებს.

მოქ. მაგი ღვთის პირიდან გადავარდნილი ოფერ საქმეში არ იხვირებს! რაბენაირად ამყოფეთ ამ კლასში, მეალ. ჩობიეთ ეი ოთხი კლასი და... (დარწმუნებით) მასწავლებლად ხომ მაინც გამოდგება? იმფერ-იმფერები დანიშნეს ბგერ ახლა, რომ ამ სიძვირეში ბალნებს კი არა ორ ბაღს ვერ მიაბარებს კაცი. ასე შენი ჭირიც გამოუშობ ხვალიდან, იარეს და თუ ჩემი ნოე და ვაჩიშანე ღმერთმა კარგათ მიმყოფა», ეგეთ ისპენტორობაც ქე მიიღოს გაისად ჩემმა გადარეულმა ბიჭმა.

ქაჯგი.

დადგენილება №107

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა

განათლების დარგში მომუშავეთა დაბრუნებისა თავიანთ სპეციალობის სამუშაოზე.

ერთა განათლების დარგში მომუშავეთა სპეციალური ცოდნა და გამოცდილება საათანადოდ გამოყენებულ იქნეს,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მოხდეს ყოველ ადგილას მობილიზაცია განათლების დარგში მომუშავეთა, რომელთაც აქვთ ამა დებულების მე-3 მუხლში აღნიშნული მომზადება და სტაჟი და ვ ნც არა მსახურობს თავისი სპეციალობის საქმეზე, როგორც სახელმწიფო დაწესებულებაში, წარმოებაში და სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა მეურნეობაში და წითელ არმიაში, აგრეთვე მათიც, ვინც ასეთ სამსახურში არ იმყოფება, იმ გამოკლებით, რაც აღნიშნულია მე-4 მუხ.,—ერთა მობილიზაციით გაწვეულნი დანიშნულ იქნენ თავიანთ სპეციალობის სამუშაოზე.

2. განათლების დარგში მომუშავენი, რომელნიც ამ ჟამად მუშაობენ თავიანთ სპეციალობის საქმეზე და აქვთ გამოცდილება და სტაჟი, მე-3 მუხ. აღნიშნული, ჩაითვალნენ უკვე მობილიზაციის წესით გამოწვეულად და დარჩნენ თავიანთ ადგილებზე განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

3. მობილიზაციას ექვემდებარებიან (მუხ. 1 და 2):

ა) ის პირნი, ვისაც გაუვლია ინსტიტუტები, კურსები და სხვა რამ ამგვარი ერთწლიანზე არა ნაკლები, რომელნიც ამზადებენ: განათლების სხვა და სხვა ტიპის მომუშავეს: სკოლის გარეშე, სკოლისა, პოლიტიკურ-განათლებისა და პროფესიონალურ-ტექნიკურისა, აკეთუ ხსენებულ ინსტიტუტებისა, კურსებისა და სხვა რამ ამგვარის გათავების დღიდან ამა დადგენილების გამოცემამდე 7-დ წელზე მეტს არ გაუვლია.

ბ) ის პირი ვისაც არა აქვს სპეციალური, თეორეტიული მომზადება (მუხ. 3 ა.), მაგრამ უმეცადნია უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში სამს წელზე არა ნაკლებ, როგორც თავისი სპეციალობის ძირითად საქმეზე: სკოლამდე ადზრდის დარგში, სკოლაში პოლიტიკური განათლებისათვის სკოლის გარეშე, პროფესიონალურ ტექნიკურისა და ყველა ტიპის უმაღლეს სკოლაში, აგრეთვე უმუშავნია მეცნიერულად სამეცნიერო დაწესებულებაში.

გ) ის პირი, ვინც ხუშაობს ერთ წელზე არა ნაკლებ,—როგორც ინსტრუქტორი,—სახალხო განათლების განყოფილებაში, წითელი არმიის საგიტაციო და პოლიტიკურ განათლების დარგში, პროფესიონალური კავშირების საკულტურო-ასა და კულტურულ განათლების განყოფილებებში და სიბეოთა დაწესებულებაში.

4. წითელ არმიელთა და იმ პირთა შორის, ვისაც სამხედრო უწყებაში უჭირავს საკომანდო და ადმინისტრატიულ საშეურნეო თანამდებობა და აკმაყოფილებს ამა დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებას, წარგზავნებულ უნდა იქნეს თავის სპეციალობის სამუშაოზე მხოლოდ: ა) ის წითელარმიელი, რომელიც დაბადებულია 1894 წელს ან უფრო ადრე და ბ) ის პირი, რომელსაც უჭირავს საკომანდო და ადმინისტრატიულ სამეურნეო თანამდებობა—გუნდის კომანდირის თანამდებობაზე მცირე. წარგზავნების წესის დასამყარებლად—დაევალოს სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატს, განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,—შეიმუშაოს საათანადო ინსტრუქცია.

5. ყველა ის პირი, რომელიც, მე-3 მუხ. თანახმად,—ექვემდებარება მობილიზაციას, და სახელმწიფო სამსახურში არ იმყოფება,—ვალდებულია შვიდი დღის ვადაზე,—დღიდან ამა დადგენილების ადგილობრივ გამოქვეყნებისა, ჩაეწეროს მუშა-ხელის აღრიცხვისა და განაწილების ადგილობრივ სამმართველოში, ხოლო იმ ადგილებში, სადაც ასეთი სამმართველო არ არსებობს, ადგილობრივ რევოლიუციონურ კომიტეტში.

6. ის პირი, რომელიც მე-3 მუხ. თანახმად, ექვემდებარება მობილიზაციას და სამსახურში იმყოფება, თავისუფალია სარეგისტრაციოდ პირადად გამოცხადებისაგან, ხოლო, სამგიგეროდ, დაწესებულება, წარმოება ან მეურნეობა, სადაც ის პირი მუშაობს, ვალდებულია მე-5 მუხლში აღნიშნულ ვადაზე,—წარძღვებისა, დაწესებულებისა და მეურნეობის ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობით, წარადგინოს,—შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულის ფორმით,—მუშა-ხელის აღრიცხვისა და განაწილების ადგილობრივ სამმართველოში სათანადო ცნობა მის შესახებ, გარდა პედაგოგებისა, რომელნიც მუშაობენ როგორც ტექნიკოსი-სპეციალისტი, ერთ ერთ სამეურნეო ორგანოში და რომელთა შესახებ რეგისტრაციას აწარმოებს შრომის სახალხო კომისარიატი.

7. ყველა, 1-სა და მე-2 მუხ. აღნიშნული პირი, ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან ითვლება მობილიზაციის წესით გაწვეულად და უნდა დარჩეს თავის ადგილზე, ვიდრე მის შესახებ არ იქნება მიღებული განსაკუთრებული განკარგულება ამა დადგენილების მე-3 მუხ. აღნიშნული დაწესებულებისაგან.

8. მობილიზაციის წესით გაწვეულ განათლების დარგში მომუშავეთა დანიშვნას მათ სპეციალობის სამუშაოზე აწარმოებს მუშა-ხელის აღრიცხვისა და განაწილების სამმართველო, სახალხო განათლების განყოფილებასა და განათლების მომუშავეთა კავშირის განყოფილებასთან შეთანხმებით, ხოლო იმ პირთა დანიშვნას, ვინც მუშაობს როგორც ტექნიკოს-სპეციალისტი სამეურნეო ორგანოებში, აწარმოებს შრომის სახალხო კომისარიატის საათანადო ცენტრალური სამმართველო.

9. ვინიცობაა, მობილიზაციის წესით გაწვეულმა პირმა, რომელიც ჯერ არ ყოფილი დანიშნული სამუშაოზე (მუხ 8), ადგილსაცხოვრებელი გამოიცვალა,—იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს იმ დაწესებულებას, რომელშიც არის ჩაწერილი (მუხ. 6)—დაწესებულება, წარმოება და მეურნეობა, საიდანაც მიდიან ან სხვაგან გადადიან „განათლების დარგში მომუშავენი, მობილიზაციის წესით გაწვეულნ ი, ხოლო სამუშაოზე ჯერ არ დანიშნულ ნი,—ვალდებულნი არიან სამი დღის ვადაზე წარუდგინონ ყველა ცნობები მათი სამსახურიდან გასვლისა ან ერთის ადგილიდან მეორეზე გადასვლის შესახებ მუშა-ხელის აღრიცხვისა და განაწილების მახლობელ სამმართველოს.

10. შუამდგომლობა მობილიზაციის წესით გაწვეულ მომუშავეთა თავიანთ თანამდებობაზე დატოვების შესახებ იგზავნება შრომის ადგილობრივ განყოფილებასთან არსებულ კომისიაში, რომელიც განაგებს შრომავალდებულთათვის ვადის გადადების ან წარვლინების დანიშვნის საქმეს. ეს კომისია გადასწყვეტს საკითხ ს განათლების მომუშავეთა კავშირის განყოფილებასთან და დაინტერესებული დაწესებულების წარმომადგენელთან ერთად. სახალხო განათლების განყოფილებას და დაინტერესებულ დაწესებულებას შეუძლიანთ გასაჩივრონ ამ კომისიების დადგენილებანი სათანადო უმაღლეს კომისიაში, სახელდობრ: სამაზრო კომისიების დადგენილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ცენტრალურ კომისიაში, რომელიც შესდგება განათლების სახალხო კომისარიატის, სოციალისტურ-კულტურის მუშაკთა და შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთაგან.

განსაჩივრებისათვის დაწესებულია ერთი თვის ვადა იმ დღიდან, რა დღესაც მიიღებს ამა დადგენილების მე-7 მუხლში აღნიშნულ განკარგულებას ის დაწესებულება, რომელშიც მიმდინარეობდა პირველადი სამსახური მობილიზაციის წესით გაწვეული პირისა.

უკეთუ ადანიშნული პირი იცილებენ იქნება,—გასაჩივრება არ უნდა იქნეს განხილული, განათლების დარგში მომუშავე, რომლის გამო აღძრულია შუამდგომლობა მის თანამდებობაზე დატოვების შესახებ, დარჩება თავის თანამდებობაზე, ვიდრე საბოლოოდ გადაწყდებოდეს შუამდგომლობა და საჩივრები.

შენიშვნა: იმ პირთა შესახებ, ვინც მუშაობს როგორც ტექნიკოს-სპეციალისტი სამეურნეო ორგანოებში, შუამდგომლობა უნდა აღძრულ იქნეს შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ კომისიის წინაშე, რომელიც განაგებს შრომავალდებულთათვის ვადის გადადებისა და წარვლინების საქმეს.

11. ის პირი, რომელიც, ამა დადგენილების თანახმად, ექვემდებარება მობილიზაციას და დანაშაულს ჩაიდენს მით, რომ არ დაეშორჩილება მუშა ხელის აღრიცხვისა და განაწილების სამმართველოს (მუხ. 8), ჩაითვლება შრომის დეზერტირად და დაისჯება შრომის დეზერტირობისათვის.

12. პასუხისმგებელი ხელმძღვანელნი წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობისა, ვინც დანაშაულობას ჩაიდენს მით, რომ დაფარავს და არ წარადგენს ცნობას სამსახურში მყოფ (მუხ. 6) მობილიზაციის ქვემდებარე პირთა შესახებ (მუხ. 3),—მაცემულ იქნებიან სამართალში, როგორც შრომის დეზერტირების დამფარველნი.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მის გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

ბ. მდივანი.

განათლების სახალხო კომისარი

დ. კანდელაკი.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი.

ალ. ხადარაძე.

1921 წ. ნოემბრის 29.

ტფილისი—სასახლე.

კულტურული მუშაობა საქ. წითელ ჯარში

პარასკევს, 25 ნოემბერს 1921 წ. მესამე რაიონის მუშათა კლუბში პირველი ლეგიონის პოლიტიკ. განმანათლ. კომისიის ინიციატივით, გაიმართა სალამო-წარმოდგენა წითელ-არმიელებისათვის, შემდეგი პროგრამით: 1) მოხსენება, 2) კონცერტი, 3) სინემატოგრაფი, 4) წარმოდგენა. სალამო გახსნა ამავე ლეგიონის სამხ. კომისარმა ამხ. ელიაშვილმა და მოკლეთ გააცნო დამსწრე საზოგადოებას სალამოს მნიშვნელობა ჯარში. შემდეგ მოხსენება გააკეთა ფედერაციის შესახებ საქართ. პოლიტ. განყოფ. ინსტრუქტორმა ამხ. ბაკურაძემ, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, დამსწრე საზოგადოებამ და წითელ არმიელებმა ვერ ავიტანეთ დასკვნა ვერ გამოიტანეს მოხსენებიდან. მოხსენების სიტყვა არ იყო მკაფიო.

ამხ. ბაკურაძე, როგორც ორატორი ვერ გამოდგა საინტერესო. მეორე საკონცერტო განყოფილებაში საქართველოს ჯარების საკონცერტო დასმა ამხ. ვეხაძის ხელმძღვანელობით შეასრულა დუეტები და რომანსები წითელ-არმიელებს ძლიერ მოეწონ. კურბატოვისა და ქურხულის მიერ „ქეთო და კოტე“-დან შესრულებული არიები. მესამე განყოფილებაში ნაჩვენები იქმნა სინემატოგრაფის სურათები. წარმ. დგინეა ერთ მოქმედებიანი ვოდევილი ბ. ახოსპირელისა „საუბედურო დებიუტი“ და ბოლოს გაიმართა ბიური და ევროპიული ცეკვა. სალამო დაძთავრდა დამის 12 საათზე. საზოგადოება ნ სიამოვნი დაიშალა.

სალამოს დამსწრე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

ДАВДАРГО პირადობის მოწმობა მოცემული აუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატიდან (605) 13413 №-ით, გთხოვთ ჩასთვალოთ ეს მოწმობა გაუქმებულად. რევიზორი იონა ჩიხლაძე.

125

კბილის ექიმი

ი. ბ. ხარებავა გაკრაძე

იღებს ავადმყოფებს, ყოველ დღე დილის 9—2 და საღ. 4—6-დე. ექიმობა, პლომბები ხელოვნური კბილები. მაშტაიდის შეს. № 4.

109

მწუხრის ფიქრები

როგორც ყოველთვის—ლურჯ სარეცელზე—
თეთრი სიმშვიდე შლის ყვავილთ არკებს;
ვერცხლით დაფერილ საკურთხეველზე
ფერთა ცვალებით დაიდგამს სარკეს!

იდუმალება ხავერდის მთებზე
გრძნეულ ღიმილით აკაშკაშდება;
ბროლთ დანამსხვრევ ჩანჩქერთ შხეფებზე
მწუხრის ფიქრები ათამაშდება!

მეც საიდუმლოს ერთგულს მეგობარს,
დღის მწუხარება ვედარას მავნებს;
ჩუმი დიდინი გრძნობას შეხოტბავს
და ფიქრთ საგანძურს მაშინ ამეღვნებს:

მთაო მშობელო, ბედის სიმოკლეს—
ვერ ახანგრძლივებს უმწეთ ჩივილი;
ეამთ უკმეხობა გიხშობს სიცოცხლეს,
აწ ვედარ გაკრთობს არწივთ ყივილი!

ხანგრძლივი ძილით თვალთ ელვარება
გსურდა ბრძოლაში გამოგეცადა;
მაგრამ დაცემულს ფიქრთ მღელვარება
შენ ჩემზე ადრე ჩამოგეცალა!

ნისლით დაბურულს თოვლიან ფერდზე—
შვილთ გლოვის ჩადრი გადააფარე;
ვინ უწყს, ვით უწინ, დღესაც შენს მკერდზე
რაოდენიძე დაასამარე!..

გული ფარგლებში ვედარ ეტევა,
ვერ ეგუება ფლიდთ პირფერობას;
ღვ, მან იხაროს ვინაც ეჩვევა
სხვის სალამურზე ფიქრთ ერთფერობას!..

მომეცით ფრთები, რომ გულის ძგერით
სამშობლოს მთები ჩამოვიარო;
გმირთ საფლავებზე გედურთ სიმღერით
შევქმნა ფსალმუნი სამგლოვიარო!

იძინეთ ძმანო, რწმენის დამხობას
წუთის სიამეც გააყმაწვილებს;
მრუდთ უბეშობა მძლავრ ნების ყოფას
სიცოცხლეს მაინც ვერ გააცილებს!..

აქ ვით გინახავსთ ლურჯ სარეცელზე
კვლავ თეთრი ღამე შლის ყვავილთ არკებს;
ვერცხლით დაფერილ საკურთხეველზე
ახალ ფერებით ამზადებს სარკეს!..

მ. უზნაძე.

ქ. ტფილისი.
1921 წელი, ივლისი.

დადგენილება №107

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა

განათლების დარგში მომუშავეთა დაბრუნებისა თავიანთ სპეციალობის სამუშაოზე.

ერთა განათლების დარგში მომუშავეთა სპეციალური ცოდნა და გამოცდილება საათანადოდ გამოყენებულ იქნეს,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მოხდეს ყოველ ადგილას მობილიზაცია განათლების დარგში მომუშავეთა, რომელთაც აქვთ ამა დებულების მე-3 მუხლში აღნიშნული მომზადება და სტაჟი და ვ ნც არა მსახურობს თავისი სპეციალობის საქმეზე, როგორც სახელმწიფო დაწესებულებაში, წარმოებაში და სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა მეურნეობაში და წითელ არმიაში, აგრეთვე მათიც, ვინც ასეთ სამსახურში არ იმყოფება, იმ გამოკლებით, რაც აღნიშნულია მე-4 მუხ.,—ერთა მობილიზაციით გაწვეულნი დანიშნულ იქნენ თავიანთ სპეციალობის სამუშაოზე.

2. განათლების დარგში მომუშავენი, რომელნიც ამ ჟამად მუშაობენ თავიანთ სპეციალობის საქმეზე და აქვთ გამოცდილება და სტაჟი, მე-3 მუხ. აღნიშნული, ჩაითვალნენ უკვე მობილიზაციის წესით გამოწვეულად და დარჩნენ თავიანთ ადგილებზე განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

3. მობილიზაციას ექვემდებარებიან (მუხ. 1 და 2):

ა) ის პირნი, ვისაც გაუვლია ინსტიტუტები, კურსები და სხვა რამ ამგვარი ერთწლიანზე არა ნაკლები, რომელნიც ამზადებენ: განათლების სხვა და სხვა ტიპის მომუშავეს: სკოლის გარეშე, სკოლისა, პოლიტიკურ-განათლებისა და პროფესიონალურ-ტექნიკურისა, აკეთუ ხსენებულ ინსტიტუტებისა, კურსებისა და სხვა რამ ამგვარის გათავების დღიდან ამა დადგენილების გამოცემამდე 7-დ წელზე მეტს არ გაუვლია.

ბ) ის პირი ვისაც არა აქვს სპეციალური, თეორეტიული მომზადება (მუხ. 3 ა.), მაგრამ უმეცადნია უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში სამს წელზე არა ნაკლებ, როგორც თავისი სპეციალობის ძირითად საქმეზე: სკოლამდე ადზრდის დარგში, სკოლაში პოლიტიკური განათლებისათვის სკოლის გარეშე, პროფესიონალურ ტექნიკურისა და ყველა ტიპის უმაღლეს სკოლაში, აგრეთვე უმუშავნია მეცნიერულად სამეცნიერო დაწესებულებაში.

გ) ის პირი, ვინც ხუშაობს ერთ წელზე არა ნაკლებ,—როგორც ინსტრუქტორი,—სახალხო განათლების განყოფილებაში, წითელი არმიის საგიტაციო და პოლიტიკურ განათლების დარგში, პროფესიონალური კავშირების საკულტურ ასა და კულტურულ განათლების განყოფილებებში და სიბეოთა დაწესებულებაში.

4. წითელ არმიელთა და იმ პირთა შორის, ვისაც სამხედრო უწყებაში უჭირავს საკომანდო და ადმინისტრატიულ საშეურნეო თანამდებობა და აკმაყოფილებს ამა დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებას, წარგზავნებულ უნდა იქნეს თავის სპეციალობის სამუშაოზე მხოლოდ: ა) ის წითელარმიელი, რომელიც დაბადებულია 1894 წელს ან უფრო ადრე და ბ) ის პირი, რომელსაც უჭირავს საკომანდო და ადმინისტრატიულ სამეურნეო თანამდებობა—გუნდის კომანდირის თანამდებობაზე მცირე. წარგზავნების წესის დასამყარებლად—დაევალოს სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატს, განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,—შეიმუშაოს საათანადო ინსტრუქცია.

5. ყველა ის პირი, რომელიც, მე-3 მუხ. თანახმად,—ექვემდებარება მობილიზაციას, და სახელმწიფო სამსახურში არ იმყოფება,—ვალდებულია შვიდი დღის ვადაზე,—დღიდან ამა დადგენილების ადგილობრივ გამოქვეყნებისა, ჩაეწეროს მუშა-ხელის აღრიცხვისა და განაწილების ადგილობრივ სამმართველოში, ხოლო იმ ადგილებში, სადაც ასეთი სამმართველო არ არსებობს, ადგილობრივ რევოლიუციონურ კომიტეტში.

6. ის პირი, რომელიც მე-3 მუხ. თანახმად, ექვემდებარება მობილიზაციას და სამსახურში იმყოფება, თავისუფალია სარეგისტრაციოდ პირადად გამოცხადებისაგან, ხოლო, სამგიგეროდ, დაწესებულება, წარმოება ან მეურნეობა, სადაც ის პირი მუშაობს, ვალდებულია მე-5 მუხლში აღნიშნულ ვადაზე,—წარძღვებისა, დაწესებულებისა და მეურნეობის ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობით, წარადგინოს,—შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულის ფორმით,—მუშა-ხელის აღრიცხვისა და განაწილების ადგილობრივ სამმართველოში სათანადო ცნობა მის შესახებ, გარდა პედაგოგებისა, რომელნიც მუშაობენ როგორც ტექნიკოს-სპეციალისტი, ერთ ერთ სამეურნეო ორგანოში და რომელთა შესახებ რეგისტრაციას აწარმოებს შრომის სახალხო კომისარიატი.

7. ყველა, 1-სა და მე-2 მუხ. აღნიშნული პირი, ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან ითვლება მობილიზაციის წესით გაწვეულად და უნდა დარჩეს თავის ადგილზე, ვიდრე მის შესახებ არ იქნება მიღებული განსაკუთრებული განკარგულება ამა დადგენილების მე-3 მუხ. აღნიშნული დაწესებულებისაგან.

8. მობილიზაციის წესით გაწვეულ განათლების დარგში მომუშავეთა დანიშვნას მათ სპეციალობის სამუშაოზე აწარმოებს მუშა-ხელის აღრიცხვისა და განაწილების სამმართველო, სახალხო განათლების განყოფილებასა და განათლების მომუშავეთა კავშირის განყოფილებასთან შეთანხმებით, ხოლო იმ პირთა დანიშვნას, ვინც მუშაობს როგორც ტექნიკოს-სპეციალისტი სამეურნეო ორგანოებში, აწარმოებს შრომის სახალხო კომისარიატის საათანადო ცენტრალური სამმართველო.

9. ვინიცობაა, მობილიზაციის წესით გაწვეულმა პირმა, რომელიც ჯერ არ ყოფილი დანიშნული სამუშაოზე (მუხ 8), ადგილსაცხოვრებელი გამოიცვალა,—იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს იმ დაწესებულებას, რომელშიც არის ჩაწერილი (მუხ. 6)—დაწესებულება, წარმოება და მეურნეობა, საიდანაც მიდიან ან სხვაგან გადადიან „განათლების დარგში მომუშავენი, მობილიზაციის წესით გაწვეულნ ი, ხოლო სამუშაოზე ჯერ არ დანიშნულ ნი,—ვალდებულნი არიან სამი დღის ვადაზე წარუდგინონ ყველა ცნობები მათი სამსახურიდან გასვლისა ან ერთის ადგილიდან მეორეზე გადასვლის შესახებ მუშა-ხელის აღრიცხვისა და განაწილების მახლობელ სამმართველოს.

10. შუამდგომლობა მობილიზაციის წესით გაწვეულ მომუშავეთა თავიანთ თანამდებობაზე დატოვების შესახებ იგზავნება შრომის ადგილობრივ განყოფილებასთან არსებულ კომისიაში, რომელიც განაგებს შრომავალდებულთათვის ვადის გადადების ან წარვლინების დანიშვნის საქმეს. ეს კომისია გადასწყვეტს საკითხ ს განათლების მომუშავეთა კავშირის განყოფილებასთან და დაინტერესებული დაწესებულების წარმომადგენელთან ერთად. სახალხო განათლების განყოფილებას და დაინტერესებულ დაწესებულებას შეუძლიანთ გასაჩივრონ ამ კომისიების დადგენილებანი სათანადო უმაღლეს კომისიაში, სახელდობრ: სამაზრო კომისიების დადგენილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ცენტრალურ კომისიაში, რომელიც შესდგება განათლების სახალხო კომისარიატის, სოციალისტურ-კულტურის მუშაკთა და შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთაგან.

განსაჩივრებისათვის დაწესებულია ერთი თვის ვადა იმ დღიდან, რა დღესაც მიიღებს ამა დადგენილების მე-7 მუხლში აღნიშნულ განკარგულებას ის დაწესებულება, რომელშიც მიმდინარეობდა პირველადი სამსახური მობილიზაციის წესით გაწვეული პირისა.

უკეთუ ადანიშნული პირი იცილებენ იქნება,—გასაჩივრება არ უნდა იქნეს განხილული, განათლების დარგში მომუშავე, რომლის გამო აღძრულია შუამდგომლობა მის თანამდებობაზე დატოვების შესახებ, დარჩება თავის თანამდებობაზე, ვიდრე საბოლოოდ გადაწყდებოდეს შუამდგომლობა და საჩივრები.

შენიშვნა: იმ პირთა შესახებ, ვინც მუშაობს როგორც ტექნიკოს-სპეციალისტი სამეურნეო ორგანოებში, შუამდგომლობა უნდა აღძრულ იქნეს შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ კომისიის წინაშე, რომელიც განაგებს შრომავალდებულთათვის ვადის გადადებისა და წარვლინების საქმეს.

11. ის პირი, რომელიც, ამა დადგენილების თანახმად, ექვემდებარება მობილიზაციას და დანაშაულს ჩაიდენს მით, რომ არ დაეშორჩილება მუშა ხელის აღრიცხვისა და განაწილების სამმართველოს (მუხ. 8), ჩაითვლება შრომის დეზერტირად და დაისჯება შრომის დეზერტირობისათვის.

12. პასუხისმგებელი ხელმძღვანელნი წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობისა, ვინც დანაშაულობას ჩაიდენს მით, რომ დაფარავს და არ წარადგენს ცნობას სამსახურში მყოფ (მუხ. 6) მობილიზაციის ქვემდებარე პირთა შესახებ (მუხ. 3),—მაცემულ იქნებიან სამართალში, როგორც შრომის დეზერტირების დამფარველნი.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მის გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

ბ. მდივანი.

განათლების სახალხო კომისარი

დ. კანდელაკი.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი.

ალ. ხადარაძე.

1921 წ. ნოემბრის 29.

ტფილისი—სასახლე.